

**„აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“  
ფარგლებში სამეცნიერო - კვლევითი საგრანტო კონკურსის**

**პროგრამა და პირობები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო-კვლევითი საგრანტო კონკურსის (შემდგომში - კონკურსი) მიზნებია: სახელმწიფოს წინაშე არსებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევის - აზიურ ფაროსანასთან ბრძოლისა და მის გავრცელებასთან დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო სირთულეების გადაჭრა სამეცნიერო-ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების გზით; აზიურ ფაროსანასთან დაკავშირებულ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული ინოვაციური სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა; ახალი ცოდნის, მეთოდების და ინოვაციური ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების ძიება; პრობლემის მოგვარების ახალი მოდელების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა-ანალიზი საერთაშორისო სივრცეში არსებული საუკეთესო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე.

2. კონკურსში წარდგენილი პროექტი მიზნად უნდა ისახავდეს საქართველოს პირობებში აზიური ფაროსანას (ლათ. *Halyomorpha halys*) ბიოლოგიისა და რიცხოვნობის დინამიკის შესწავლას; მისი ბიოანტაგონისტებისა და ბიოლოგიური მტრების გამოვლენას, მათი გამოყენების შესაძლებლობას და მიზანშეწონილობას, მონიტორინგს და მცენარეთა დაცვის სხვადასხვა, მათ შორის ბიოლოგიური საშუალებების ეფექტიანობის შესწავლას; ასევე პრობლემის გადაჭრის ახალი ჰიპოთეზებისა და კონცეფციების ექსპერიმენტულ დამტკიცებას. დაფინანსებული კვლევა გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა წარმოადგენდეს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში პროგრესის საფუძველს ქვეყნის, რეგიონის ან/და მსოფლიო მასშტაბით.

3. კონკურსი ფინანსდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) „სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის“ პროგრამის ბიუჯეტიდან და მის ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი (შემდგომში - ფონდი) „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის 2018 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 3 მაისის №970 განკარგულების შესაბამისად.

**მუხლი 2. ტერმინების განმარტება**

კონკურსის პროგრამასა და პირობებში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ახალგაზრდა მეცნიერი** – პირი ძირითადი პერსონალიდან, მაგისტრი ან დოქტორი, რომელთა აკადემიური ხარისხის მინიჭების დღიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წლისა, ასევე, დოქტორანტურის ან მაგისტრატურის სტუდენტი;

**ბ) გენერალური დირექტორი** – ფონდის გენერალური დირექტორი, რომლის ფუნქციებში შედის დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცება და საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

**გ) გრანტის მიმღები** – საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტების ან ექსპერტთა ჯგუფის შეფასების საფუძველზე კონკურსში გამარჯვებულად გამოვლენილი და ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დასაფინანსებლად დამტკიცებული პროექტის ძირითადი პერსონალი, წამყვანი ორგანიზაცია და თანამონაწილე ორგანიზაცია (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში);

**დ) დამოუკიდებელი ექსპერტი** – პირი, რომელიც აფასებს საკონკურსო პროექტს განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების მიხედვით. ექსპერტის ვინაობა კონფიდენციალურია;

**ე) დამხმარე პერსონალი** – პროექტის ფარგლებში დასაქმებული პირი/პირები, რომელიც/რომლებიც ეხმარება/ეხმარებიან ძირითად პერსონალს ტექნიკური საკითხების მოგვარებაში;

**ვ) ერთობლივი პროექტი** – გრანტის მოპოვების მიზნით საკონკურსოდ წარდგენილი/დაფინანსებული განაცხადი, რომელშიც ერთობლივად მონაწილეობს ერთი რამდენიმე იურიდიული პირი – წამყვანი ორგანიზაცია და თანამონაწილე ორგანიზაცია/ები;

**ზ) ექსპერტთა ჯგუფი** – დამოუკიდებელი ექსპერტებით დაკომპლექტებული ჯგუფი, რომელიც აფასებს პროექტს ამ წესით განსაზღვრული პროექტის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

**თ) ზედნადები ხარჯები** – წამყვანი, თანამონაწილე და მასპინძელი ორგანიზაცია(ებ)ის არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც უკავშირდება პროექტის განხორციელებას;

**ი) თანადამფინანსებელი** – საქართველოში ან საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული ან ფიზიკური პირ(ები), რომელიც ფონდთან ერთად, ნაწილობრივ აფინანსებს პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრულ ხარჯებს;

**კ) თანამონაწილე ორგანიზაცია/ები** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. თანამონაწილე ორგანიზაცია წამყვან ორგანიზაციასთან ერთად უზრუნველყოფს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს, ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისაგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას და ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს;

**ლ) კონკურსი** – ამ წესით გათვალისწინებული დაფინანსების მოსაპოვებლად ფონდის მიერ ადმინისტრირებული პროცედურა;

**მ) კონსულტანტი** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუშაობს პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემატიკაზე და კონსულტაციას უწევს ძირითად პერსონალს პროექტით გათვალისწინებული კვლევის ფარგლებში. კონსულტანტი არ შეიძლება იყოს პროექტის ძირითადი პერსონალი;

**ნ) მიზნობრივი ანგარიში** – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული ანგარიში/ანგარიშები, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის თანხის ჩარიცხვა;

**ო) პარტნიორი ორგანიზაცია** – საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირი ან საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც მონაწილეობს პროექტის გარკვეული ამოცანების შესრულებაში. პარტნიორი ორგანიზაცია არ შეიძლება იყოს გრანტის მიმღები;

- პ) პროექტი** – პროექტის ძირითადი პერსონალის, წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაცი(ებ)ის მიერ გრანტის მოპოვების მიზნით, ამ წესით განსაზღვრული პირობების მიხედვით ფონდში წარდგენილი საკონკურსო განაცხადი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ჟ) პროექტის ბიუჯეტი** - პროექტის განხორციელებისათვის საჭირო საგრანტო დაფინანსების საერთო ოდენობა ხარჯვის კატეგორიების მიხედვით;
- რ) პროექტის ბიუჯეტის დასაბუთება** – პროექტით გათვალისწინებული კვლევისა და აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო დაფინანსების შინაარსობრივი დასაბუთება;
- ს) პროექტის კოორდინატორი** – საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან, რომელიც ჩართულია პროექტის მართვასა და ადმინისტრირებაში და პასუხისმგებელია პროექტის მენეჯმენტსა და საორგანიზაციო საქმეებზე;
- ტ) პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი** – საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალიდან, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც პროექტს განხორციელებს წამყვან ორგანიზაციაში, ხელმძღვანელობს პროექტით გათვალისწინებულ კვლევას და პასუხისმგებელია როგორც პროექტის სამეცნიერო შედეგებზე, ისე პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;
- უ) პროექტის შეფასების კრიტერიუმები** – საერთაშორისო დამოუკიდებელ ექსპერტთა ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროექტის შესაფასებლად ამ დებულებით განსაზღვრული სახელმძღვანელო პრინციპები ქულების სათანადო მითითებით;
- ფ) საანგარიშო პერიოდი** – საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირები ახორციელებენ პროექტით გათვალისწინებული ამოცანების შესრულებას, საგრანტო სახსრების ხარჯვას და დასრულების შემდგომ წარუდგენს ფონდს ანგარიშს;
- ქ) საბოლოო ანგარიში** – პროექტის დასრულების შემდგომ გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან ფონდში წარმოდგენილი საბოლოო პროგრამული და ფინანსური ანგარიში;
- ღ) საგრანტო ხელშეკრულება** – გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- ყ) საგრანტო ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგი** – საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის შუალედური და საბოლოო პროგრამული და ფინანსური მონიტორინგის პროცედურა;
- შ) ტრანში** – პროექტის ბიუჯეტით განსაზღვრული ფონდიდან მოთხოვნილი გადასარიცხი/გადარიცხული თანხა;
- ჩ) ფონდი** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი;
- ც) შუალედური ანგარიში** – საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, გრანტის მიმღები ფიზიკური და იურიდიული პირების მხრიდან ფონდში წარმოდგენილი პროგრამული და ფინანსური ანგარიში;
- ძ) ძირითადი პერსონალი** – საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ პროექტით დაგეგმილ ძირითად ამოცანებს. ძირითადი პერსონალი შეიძლება იყოს დოქტორის, მაგისტრის, ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტურის ან მაგისტრატურის სტუდენტი;
- წ) წამყვანი ორგანიზაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი საჯარო

სამართლის იურიდიული პირი, საქართველოში რეგისტრირებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელთა წესდებით/დებულებით განსაზღვრული მიზანია სამეცნიერო კვლევების განხორციელება, ასევე საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. წამყვანი ორგანიზაცია უზრუნველყოფს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელს, თანახელმძღვანელს, ძირითად და დამხმარე პერსონალს პროექტით გათვალისწინებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ახორციელებს პროექტის განხორციელების ანგარიშგებას გრანტის გამცემის მიერ დამტკიცებული ფორმებისა და წესის შესაბამისად, ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვისგან განცალკევებით აწარმოებს გრანტის ბუღალტრულ აღრიცხვას, ასრულებს საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებებს.

### **მუხლი 3. კონკურსის ადმინისტრირება**

1. გრანტის მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ კონკურსის წესით. კონკურსს აცხადებს და ადმინისტრირებას უწევს ფონდი ამ პროგრამითა და პირობებით დადგენილი პროცედურების მიხედვით.
2. ფონდი უზრუნველყოფს:
  - ა) საკონკურსო დოკუმენტაციის მიღების ვადების დადგენას; კონკურსის პროგრამისა და პირობების, პროექტის ფორმების, საკონკურსო დოკუმენტაციისა და პროექტის შესრულების ანგარიშების ფორმების შემუშავებასა და დამტკიცებას;
  - ბ) კონკურსის გამოცხადებას;
  - გ) კონკურსში რეგისტრირებული პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რაც გულისხმობს წარმოდგენილი პროექტების დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენას კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან;
  - დ) პროექტების შეფასებისათვის აუცილებელი პროცედურების უზრუნველყოფას;
  - ე) ექსპერტებისაგან და/ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოვლენილი საუკეთესო პროექტების საფუძველზე გამარჯვებული პროექტების გამოვლენასა და დამტკიცებას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, პროექტში ცვლილებების შეტანას;
  - ვ) საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებას და დაფინანსებას;
  - ზ) საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების მონიტორინგს.

### **მუხლი 4. კონკურსში მონაწილე სუბიექტები და მონაწილეობის პირობები**

1. კონკურსზე პროექტის დარეგისტრირება და კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ერთ ან რამდენიმე ორგანიზაციას, პროექტის ძირითად პერსონალთან ერთად;
2. პროექტს აუცილებლად უნდა ჰყავდეს წამყვანი ორგანიზაცია;
3. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანამონაწილე ორგანიზაცია/ები (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში);
4. პროექტს შეიძლება ჰყავდეს პარტნიორი ორგანიზაცია;
5. პროექტს უნდა ჰყავდეს ძირითადი პერსონალი;
6. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი;
7. პროექტს უნდა ჰყავდეს პროექტის კოორდინატორი;
8. პროექტში ჩართული უნდა იყოს მინიმუმ ერთი ახალგაზრდა მეცნიერი პროექტის განხორციელების ყველა საანგარიშო პერიოდში;

9. პროექტს შეიძლება ჰყავდეს დამხმარე პერსონალი. დაუშვებელია დამხმარე პერსონალის ფუნქციები შეითავსოს პროექტის ძირითადმა პერსონალმა;
10. პროექტს შეიძლება ჰყავდეს კონსულტანტ(ებ)ი;
11. პროექტს შეიძლება ჰყავდეს თანადადამფინანსებელი;
12. პროექტის ძირითადი პერსონალის სტატუსით ერთსა და იმავე პირს, ერთსა და იმავე დროს, შეუძლია ჩართული იყოს ამ კონკურსზე წარმოდგენილ მხოლოდ ერთი პროექტში.

## **მუხლი 5. ძირითადი ფინანსური მოთხოვნები**

1. საკონკურსოდ წარდგენილი პროექტის ხანგრძლივობა უნდა იყოს 1 ან 2 წელი. საანგარიშო პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 1 წელს.
2. პროექტისათვის მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 61 250 ლარს 1 წლიანი პროექტისათვის, 122 500 ლარს - 2 წლიანი პროექტისათვის.
3. ორწლიანი პროექტის შემთხვევაში პირველი და მეორე საანგარიშო პერიოდისათვის მოთხოვნილი საგრანტო დაფინანსების ჯამი არ უნდა აღემატებოდეს 122 500 ლარს. საანგარიშო პერიოდებს შორის თანხის განაწილება შესაბამისობაში უნდა იყოს პროექტის მიზნებთან და ამოცანებთან.
4. პროექტის ბიუჯეტში ფონდიდან მოთხოვნილი თანხა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემდეგ ხარჯვით კატეგორიებს:
  - ა) ძირითადი პერსონალის საგრანტო დაფინანსებას;
  - ბ) დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებას;
  - გ) მივლინებას;
  - დ) საქონელსა და მომსახურებას;
  - ე) არაფინანსურ აქტივებს;
  - ვ) ზედნადებ ხარჯებს.
5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებული ხარჯვითი კატეგორიები განიმარტება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის კლასიფიკატორით (დანართი №10).
6. ზედნადები ხარჯები – წამყვანი და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციების ბაზაზე პროექტით დაგეგმილი ამოცანების განხორციელებისათვის აუცილებელი არაპირდაპირი ხარჯების საერთო მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტის 5%-ს. გრანტის მიმღები წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაცია უფლებამოსილია „ზედნადები ხარჯების“ კატეგორიით გათვალისწინებული თანხა გამოიყენოს გრანტის ტექნიკური ადმინისტრირებისათვის.
7. გრანტის სახსრებით შესაძლებელია პროექტში ჩართული კონსულტანტის ჰონორარის დაფინანსება (ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების 4.7 კატეგორიიდან), ასევე წარმომადგენლობითი ხარჯების დაფინანსება უცხოელი კონსულტანტის შემთხვევაში (ბიუჯეტის საქონელი და მომსახურების 4.2 კატეგორიიდან).
8. პროექტს შესაძლოა ჰქონდეს თანადაფინანსება – დამატებითი ფინანსური მხარდაჭერა, რომელიც ფონდიდან მოთხოვნილ საგრანტო დაფინანსებასთან ერთად არის პროექტის საერთო ბიუჯეტის შემადგენელი. თანადაფინანსებად არ განიხილება ფონდის მიერ გაცემული გრანტი.
9. საგრანტო დაფინანსება არ ითვალისწინებს პროექტის მომზადებისა და წარდგენისათვის გაწეულ ხარჯებს.

10. გრანტის სახსრებით დაუშვებელია უძრავი ქონების შეძენა, უძრავი ქონების იჯარა, კაპიტალური რემონტი/შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქცია, ავტომანქანის, პლანშეტური კომპიუტერის და მობილური ტელეფონის შეძენა.

11. პროექტის დასრულების შემდეგ გრანტის სახსრებით შეძენილი ქონება საკუთრებაში რჩება გრანტის მიმღებ წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად.

## **მუხლი 6. კონკურსში მონაწილეობისათვის წარმოსადგენი საპროექტო განაცხადი**

1. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში GMUS-ში [Grants Management Unified System] ელექტრონული რეგისტრაციის დროს წარმოსადგენი საპროექტო განაცხადი შედგება პროექტის შინაარსობრივი ნაწილისა და თანდართული დოკუმენტებისაგან.

### **ა) პროექტის შინაარსობრივი ნაწილი მოიცავს:**

1) პროექტის თავფურცელი (ნიმუში - დანართი 2, ივსება გრანტების მართვის ერთიან სისტემაში - GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს);

2) საპროექტო წინადადება (დანართი 3, იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით);

3) პროექტის ძირითადი პერსონალის (ხელმძღვანელის, კოორდინატორის, ქართველი და უცხოელი მკვლევრების) პროფესიული ბიოგრაფიები (CV) ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციის დროს. სავალდებულოა, საქართველოს მოქალაქე ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალის - ინგლისურ ენაზე. ძირითადი პერსონალის „მეცნიერის პროფილიდან“ CV-ები დაგენერირდება ბაზაში, ექსპორტირდება და PDF დოკუმენტის სახით იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციისას ხელმძღვანელის მიერ (ნიმუში - დანართი 4). უცხოელი ძირითადი პერსონალის ინგლისური CV-ების ქართულად თარგმნასა და პროექტის რეგისტრაციისას მათ წარმოდგენაზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი.

4) პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (დანართი 5, იტვირთება GMUS-ში Excel დოკუმენტის სახით);

5) პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება (ნიმუში - დანართი 6, ივსება GMUS-ში).

### **ბ) პროექტის თანდართული დოკუმენტებია:**

1) კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროფესიული ბიოგრაფია - CV ქართულ და ინგლისურ ენაზე იტვირთება GMUS-ში პროექტის რეგისტრაციის დროს PDF დოკუმენტის სახით პროექტის ხელმძღვანელის მიერ. სასურველია, მაგრამ არასავალდებულოა, კონსულტანტის „მეცნიერის პროფილის“ შევსება „ძირითადი პერსონალის“ მსგავსად.

2) პროექტში ჩართული კონსულტანტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) თანხმობის წერილი პროექტში მონაწილეობის შესახებ - Letter of Commitment (დანართი 7) დამოწმებული ხელმოწერით. თანხმობის წერილის ორიგინალთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს მისი თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ (იტვირთება GMUS -ში PDF დოკუმენტის სახით);

3) ცნობა თანადაფინანსების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს ორგანიზაციის ოფიციალურ ბლანკზე ან დანართი 8-ის ფორმით, დამოწმებული თანადაფინანსებელი იურიდიული ან ფიზიკური პირის ხელმოწერით და ორგანიზაციის

ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), (იტვირთება GMUS - ში PDF დოკუმენტის სახით). სავალდებულოა, ცნობაში მითითებული იყოს თანადაფინანსების თანხა. თუ თანადაფინანსებლის თანხმობის წერილი გაცემულია უცხოურ ენაზე, აუცილებელია, თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის წარმოდგენა.

4) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე თანადაფინანსებელი იურიდიული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (წესდება/დებულება). ა(ა)იპ-ისა და უსდ-ს შემთხვევაში ასევე საჭიროა 2018 წელს გაცემული ამონაწერი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბიზნესის რეესტრიდან. პარტნიორი ორგანიზაციის (საზღვარგარეთ რეგისტრირებული ან საერთაშორისო ორგანიზაცია) შემთხვევაში სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ არის სავალდებულო. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

5) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტები (დიპლომი, სერტიფიკატი ან დოქტორანტის ან მაგისტრანტის შემთხვევაში ცნობა სწავლის შესახებ შესაბამისი ორგანიზაციიდან); საქართველოს მოქალაქე პირებისათვის, თუ აღნიშნული დოკუმენტი უცხოეთშია გაცემული, მას თან უნდა ერთვოდეს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დოკუმენტი უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში გაცემულ დოკუმენტს არ სჭირდება ქართული თარგმანი და აღიარება. უცხო ქვეყნის მოქალაქე ძირითადი პერსონალისათვის, აკადემიური ხარისხის დოკუმენტი უნდა იყოს ლეგალიზებული ან აღიარებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. დოკუმენტები იტვირთება GMUS-ში შესაბამისი პირის „მეცნიერის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით.

6) პარტნიორი ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პარტნიორობის დამადასტურებელი დოკუმენტის ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის წარმომდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „**განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ**“ (ნიმუში, დანართი 9. გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ხელმოწერებით;

ბ) განცხადებაზე უცხოეთის მოქალაქე ძირითადი პერსონალის ხელმოწერის არ ქონის შემთხვევაში საჭიროა, განცხადებას თან ერთვოდეს აღნიშნული პირის პროექტში მონაწილეობის შესახებ თანხმობის წერილის ხელმოწერილი ორიგინალი და მისი ქართული თარგმანი თარჯიმანთა ბიუროს მიერ დამოწმებული;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი. თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, თან უნდა ერთვოდეს მისი ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

3. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში გრანტის მიმღებმა ფონდის კანცელარიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წამყვანი და თანამონაწილე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორგანიზაციის მიზნობრივი ანგარიშის რეკვიზიტები - ამ პროექტისათვის ცალკე გახსნილი ლარის საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელზეც გამარჯვების შემთხვევაში ჩაირიცხება გრანტის თანხა და ცნობა ბანკიდან, რომ

აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

გ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვან და თანამონაწილე (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში) ორგანიზაციებს არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

4. კონკურსში მონაწილეობისათვის საპროექტო განაცხადის შინაარსობრივი ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ქართული და ინგლისური ვერსიების იდენტურობაზე, თარგმანის ხარისხსა და სიზუსტეზე პასუხისმგებელია პროექტის ხელმძღვანელი ძირითად პერსონალთან ერთად.

5. საპროექტო განაცხადი წარმოდგენილი უნდა იყოს ამ ბრძანებით დამტკიცებული წესების, ფორმებისა და ვადების დაცვით.

## მუხლი 7. კონკურსზე რეგისტრაციის წესი

1. კონკურსში რეგისტრაცია ხორციელდება ორ ეტაპად:

ა) პროექტის ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი – 2018 წლის 7 ივლისიდან 23 ივლისის 16:00 საათამდე;

ბ) ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი – 2018 წლის 24 ივლისის 16:00 საათამდე.

2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსის პროგრამისა და პირობების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო განაცხადის შინაარსობრივი ნაწილისა და პროექტის თანდართული დოკუმენტების ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში) შემდეგ ბმულზე: <http://gmus.rustaveli.org.ge> . ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:

ა) პროექტის წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე თანადადამფინანსებელი იურიდიული პირის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) რეგისტრაცია GMUS-ში – „ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა და მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ4-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა.

ბ) პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული ფიზიკური პირების რეგისტრაცია GMUS-ში – „მეცნიერის პროფილის“ შექმნა და კონკურსის პირობების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ბ5-ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. **სავალდებულოა**, პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული საქართველოს მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ შევსებული იყოს ქართულ და ინგლისურ ენაზე, ხოლო პროექტში ძირითადი პერსონალის სტატუსით ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეების „მეცნიერის პროფილი“ - ინგლისურ ენაზე.

გ) საპროექტო განაცხადის შინაარსობრივი ნაწილის (იხ. მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი) წარმოდგენა ქართულ და ინგლისურ ენებზე გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS-ში).

დ) პროექტში კონსულტანტის სტატუსით ჩართული პირების, თანადადამფინანსებელი ფიზიკური პირებისა და პარტნიორი ორგანიზაციის (ასეთების არსებობის შემთხვევაში) შესახებ ინფორმაციის შევსება პროექტის თავფუცელში და მათი ჩართულობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტების ატვირთვა პროექტის ხელმძღვანელის მიერ შესაბამის ველში.

3. ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადებისა და თანადადამფინანსების ცნობის ორიგინალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენას ფონდის კანცელარიაში (იხ. მუხლი 6, პუნქტი 2).

4. საკონკურსოდ განიხილება მხოლოდ ის პროექტი, რომელსაც დადგენილი ვადებისა და წესების დაცვით გავლილი აქვს ელექტრონული რეგისტრაცია და ფონდის კანცელარიაში წარმოდგენილია შესაბამისი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ.“

## **მუხლი 8. კონკურსის განრიგი და პროცედურები**

1. კონკურსის განრიგი და ვადები:

- ა) **2018 წლის 14 ივნისი** – კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით;
  - ბ) **2018 წლის 26 ივნისი, 10 ივლისი** – ჯგუფური კონსულტაციები;
  - გ) **2018 წლის 17 ივლისი** – შეკითხვების გამოგზავნის ბოლო ვადა;
  - დ) **2018 წლის 7 ივლისიდან 23 ივლისის 16:00 სთ-მდე** – პროექტების ელექტრონული რეგისტრაცია;
  - ე) **2018 წლის 24 ივლისი, 16:00 საათი** – ფონდის კანცელარიაში კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენის ბოლო ვადა;
  - ვ) **2018 წლის ივლისი-აგვისტო** – რეგისტრირებული პროექტების კონკურსის პირობებთან და მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
  - ზ) **2018 წლის სექტემბერი-ოქტომბერი** - კონკურსის პირობების დაცვით წარმოდგენილი პროექტების წარდგენა და კონკურსში მონაწილე პროექტების შეფასება საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტების ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ;
  - თ) **2018 წლის ოქტომბერი** – საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან ან ექსპერტთა ჯგუფისაგან მიღებული შეფასებების საფუძველზე რანჟირებული სიის შედგენა და დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების გამოვლენა;
  - ი) **2018 წლის ოქტომბერი** – დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების საბოლოო სიის დამტკიცება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ და კონკურსის შედეგების გამოქვეყნება;
  - კ) **2018 წლის ოქტომბერი-ნოემბერი** – საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება.
2. კონკურსის პროგრამითა და პირობებით დადგენილი რეგისტრაციის წესების ან ვადების დარღვევით წარმოდგენილი პროექტი, ან/და განცხადება საკონკურსოდ არ განიხილება.
3. კონკურსზე რეგისტრირებული საპროექტო განაცხადების კონკურსის პროგრამასა და პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ფონდი ჩაატარებს წარმოდგენილი პროექტების ტექნიკურ ექსპერტიზას, რომლის ფარგლებში:
- ა) კონკურსის პროგრამისა და პირობების მე-6 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის თანდართული დოკუმენტების კონკურსის მიზნებისათვის დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში ფონდი დაადგენს ხარვეზს და იმოქმედებს კანონის შესაბამისად;
  - ბ) კონკურსის პროგრამისა და პირობების მე-6 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროექტის შინაარსობრივი ნაწილის არასრულად, ან დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამოდ, ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ფონდი კონკურსიდან მოხსნის პროექტს.
4. ფონდი უფლებამოსილია, ტექნიკური ექსპერტიზის საფუძველზე დაადგინოს ხარვეზი და იმოქმედოს კანონის შესაბამისად.
5. ფონდი უფლებამოსილია საგრანტო კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე კონკურსიდან მოხსნას პროექტი, თუ იგი არ შეესაბამება კონკურსის პროგრამისა და პირობებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## მუხლი 9. პროექტების შეფასება

1. კონკურსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფი რეგისტრირებული პროექტები შესაფასებლად გადაეცემა საერთაშორისო დარგობრივ დამოუკიდებელ ექსპერტებს ან ექსპერტთა ჯგუფს.
2. საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტების ვინაობას ფონდი ათანხმებს სააგენტოსთან.
3. საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტები საკონკურსოდ წარმოდგენილ პროექტებს განიხილავენ და აფასებენ წინამდებარე კონკურსის პროგრამისა და პირობების მე-10 მუხლით დაგენილი შეფასების კრიტერიუმებისა და წესების შესაბამისად.
4. კონკურსზე რეგისტრირებული პროექტის შეფასება ხორციელდება მინიმუმ ორი საერთაშორისო დამოუკიდებელი ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ. პროექტის საბოლოო ქულა დაიანგარიშება მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.
6. საერთაშორისო დამოუკიდებელ დარგობრივ ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია.
7. დაუშვებელია, საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტი იყოს პირი, რომელმაც შესაძლოა, მიიღოს უშუალო ფინანსური ან სხვა სახის პირადი სარგებელი პროექტის დაფინანსების ან დაუფინანსებლობის შემთხვევაში, ასევე პირი:
  - ა) რომელიც არის ამავე საგრანტო კონკურსის მონაწილე;
  - ბ) რომელიც არის დაინტერესებული მხარე – პროექტში მონაწილე ან მონაწილის ნათესავი.
8. ამ საგრანტო კონკურსისათვის ნათესავად ჩაითვლება:
  - ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
  - ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
  - გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
  - დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.
9. საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტი ვალდებულია, ფონდის გენერალურ დირექტორს ოფიციალურად აცნობოს ინტერესთა კონფლიქტის და თვითაცილების შესახებ.
10. საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტი უფლებამოსილია, განაცხადოს თვითაცილების შესახებ, თუ თვლის, რომ იგი ვერ იქნება ობიექტური, რადგან შესაფასებელი პროექტი უწევს კონკურენციას მის სამეცნიერო მოღვაწეობას, ან მან შეიძლება ნახოს პირადი სამეცნიერო სარგებელი ამ პროექტის შეფასებით.
11. თუ ინტერესთა კონფლიქტის ფაქტი ფონდისათვის ცნობილი გახდება ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების დამტკიცებამდე, ფონდი უფლებამოსილია, იმსჯელოს საერთაშორისო დარგობრივი დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ გაკეთებული შეფასების გაუქმების შესახებ.

## მუხლი 10. პროექტის შეფასების კრიტერიუმები

1. კონკურსზე წარდგენილი პროექტები შეფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

კრიტერიუმები და განმარტებები	C-	C	C+	B-	B	B+	A-	A	A+	შეფასება (A/B/C) კრიტერიუმის მიხედვით
<b>1. სამეცნიერო-კვლევითი პროექტი</b>	1	2	3	4	5	6	7	8	9	<b>მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა</b>
1.1. კვლევითი თემის/საკითხის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა, პრობლემის ფორმულირება 1.2. კვლევის მიზნები და ამოცანები 1.3. კვლევის მეთოდოლოგია 1.4. კვლევის მოსალოდნელი შედეგების სამეცნიერო ღირებულება და/ან კვლევის შედეგების პოტენციური პრაქტიკული გამოყენებადობა და გავრცელების (დისემინაციის) გეგმა										
<b>2. პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი</b>	1	2	3	4	5	6	7	8	9	<b>მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა</b>
2.1. პროექტის ხელმძღვანელის მიღწევების, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობა კვლევით პროექტთან 2.2. ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციის, კომპეტენციისა და უნარების შესაბამისობა კვლევითი თემასთან 2.3. პროექტის საერთაშორისო და ადგილობრივი თანამშრომლობა										
<b>3. პროექტის მენეჯმენტი და განხორციელებადობა</b>	1	2	3	4	5	6	7	8	9	<b>მინიმუმ 1 მაქსიმუმ 9 ქულა</b>
3.1. პროექტის შესრულების გეგმის (ამოცანებისა და აქტივობების ეტაპების, ვადებისა და გზების) განხორციელებადობა და შესაბამისობა კვლევის მიზნებთან 3.2. პროექტის ბიუჯეტის და ბიუჯეტის დასაბუთების შესაბამისობა კვლევის მიზნებსა და ამოცანებთან 3.3. წამყვანი/თანამონაწილე ორგანიზაციის მატერიალური, ტექნიკური და ინტელექტუალური გარემოს/რესურსების შესაბამისობა პროექტის მიზნებსა და ამოცანებთან 3.4. პროექტის მდგრადობა, პროექტის განხორციელების რისკების ანალიზი და რისკების აღმოფხვრის გზები										

ქულების ჯამი:	მინიმუმ - 3 მაქსიმუმ - 27 ქულა
დამოუკიდებელი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი შეფასება სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინჭებული ქულების შესაბამისად:	
<input type="checkbox"/> A <input type="checkbox"/> B <input type="checkbox"/> C	
დამოუკიდებელი ექსპერტის/ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი კომენტარი პროექტის შესახებ სამივე კრიტერიუმის მიხედვით მინჭებული ქულების შესაბამისად:	

2. შეფასების სამი კრიტერიუმიდან (1- სამეცნიერო-კვლევითი პროექტი, 2- პროექტის შემსრულებელი სამეცნიერო ჯგუფი, 3- პროექტის მენეჯმენტი და განხორციელება) თითოეული ფასდება 9-ქულიანი სისტემით (1-9), სადაც 1-3 ქულა შეესაბამება C კატეგორიის შეფასებას, 4-6 ქულა შეესაბამება B კატეგორიის შეფასებას, ხოლო 7-9 ქულა შეესაბამება A კატეგორიის შეფასებას. ჯამური მაქსიმალური შეფასება არის 27 ქულა. კრიტერიუმებში ქულებით შეფასება განიმარტება შემდეგნაირად:

შეფასება ქულით	შეფასება ABC კატეგორიით	შეფასება	განმარტება
1	C-	სრულიად შეუსაბამო	პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტი ვერ ფასდება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
2	C	ნაწილობრივ შეუსაბამო	პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, გართულებულია პროექტის შეფასება არასაკმარისი ინფორმაციის გამო
3	C+	სუსტი	პროექტი მცირედ პასუხობს, შეუსაბამოა ამ კონკრეტულ კრიტერიუმთან, შეინიშნება სერიოზული, არსებითი სუსტი მხარეები
4	B-	დამაკმაყოფილებელი	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი უზუსტობები და სუსტი მხარეები
5	B	საშუალო	პროექტი ზოგადად პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არაა დამაკმაყოფილებელია
6	B+	საკმაოდ კარგი	პროექტი მთლიანობაში პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ დასაბუთება არასაკმარისია
7	A-	კარგი	პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთება დამაკმაყოფილებელია, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება
8	A	ძალიან კარგი	პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს. არის ორიგინალური და აქვს მაღალი სამეცნიერო პოტენციალი, თუმცა შესაძლებელია გარკვეულწილად დახვეწა
9	A+	საუკეთესო	გამორჩეული, მაღალი სამეცნიერო პოტენციალის მქონე პროექტი, რომელიც საუკეთესოდ პასუხობს კრიტერიუმს

3. შემაჯამებელი შეფასება პროექტის შესახებ ეფუძნება და შესაბამისობაში უნდა იყოს შეფასების სამივე კრიტერიუმში 9 ქულიანი (1-9) სისტემით შეფასებასთან და განიმარტება შემდეგნაირად:

ქულა	ABC კატეგორია
21-27	A
10-20	B
3-9	C

4. დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა პროექტმა მიიღოს 19 ან მეტი ქულა. ერთ-ერთ კრიტერიუმში C კატეგორიის შეფასების მიღების შემთხვევაში პროექტი ვერ დაფინანსდება.

5. თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ პროექტს, რომელიც ჯამურად მაღალ ქულას დააგროვებს თანმიმდევრულად პირველ, შემდგომ მეორე და მესამე კრიტერიუმში. აღნიშნულ სამივე კრიტერიუმში თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება ნაკლები ბიუჯეტის მქონე პროექტს.

### მუხლი 11. საგრანტო ხელშეკრულება

1. დასაფინანსებლად შერჩეული პროექტების ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ ფონდი უზრუნველყოფს საგრანტო ხელშეკრულებათა გაფორმებას პროექტებში მონაწილე ძირითად პერსონალთან, წამყვან და თანამონაწილე ორგანიზაციებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდება კონკურსში გამარჯვებულებთან, რომლებიც წარმოადგენენ ამ პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტებს.

3. პროექტის ფარგლებში შექმნილი გამოგონების დაპატენტების უფლება ეკუთვნით ფონდს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და გრანტის მიმღებს. პატენტიდან გამომდინარე განსაკუთრებული უფლებების გამოყენებიდან მიღებული მოგების პროცენტულობა განისაზღვრება შემდეგნაირად: 80% – გრანტის მიმღებს (30% - იურიდიულ პირს, 50% – მეცნიერთა ჯგუფს – ფიზიკურ პირებს) და 10% – ფონდს, 10% - სურსათის ეროვნულ სააგენტოს. აღნიშნულთან დაკავშირებით, გრანტის გამცემს, სურსათის ეროვნულ სააგენტოსა და გრანტის მიმღებს შორის წარმოშობილი ურთიერთობები დარეგულირდება პატენტის მიღების შემდგომ გასაფორმებელ ხელშეკრულებაში.

4. გრანტის მიმღებს ეკრძალება პროექტის ფარგლებში შექმნილ ნაწარმოებზე არსებული განსაკუთრებული უფლებების მთლიანად ან ნაწილობრივ ნებისმიერი ფორმით გადაცემა მესამე პირისათვის, ნაწარმოების შექმნიდან 5 წლის განმავლობაში, ფონდისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე (ტერმინი „ნაწარმოები“ აქ გულისხმობს წიგნს, ბროშურას, კომპიუტერულ პროგრამას, რუკას, გეგმას, ესკიზს, ილუსტრაციას, თარგმანს, კრებულს, ენციკლოპედიას, ანთოლოგიას, მონაცემთა ბაზას და „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სხვა სახის ნაშრომებს).

5. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღების მიერ საგრანტო ხელშეკრულების საერთო თანხის გაზრდის გარეშე, წარდგენილი დასაბუთებული მოთხოვნის საფუძველზე, საგრანტო ხელშეკრულების სამოქმედო გეგმაში ან/და ხარჯთაღრიცხვაში განახორციელოს ცვლილება. საანგარიშო წლის პერიოდში საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვაში ცვლილებები დასაშვებია პროექტის მიმდინარე წლის საერთო ბიუჯეტის 20%-ის ფარგლებში.

6. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ საგრანტო დაფინანსება გადაირიცხება პროექტის მიზნობრივ ანგარიშზე ავანსის სახით ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის

ვადამი. საგრანტო დაფინანსების ხარჯვა უნდა განხორციელდეს საპროექტო განაცხადის ბიუჯეტის შესაბამისად.

7. თანადაფინანსების არსებობის შემთხვევაში, თანადაფინანსებლის მიერ თანხის ჩარიცხვის შემდეგ ფონდი გადარიცხავს საგრანტო დაფინანსებას პროექტის მიზნობრივ საგრანტო ანგარიშზე დარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტის არწარმოდგენის შემთხვევაში პროექტი შეჩერდება.

## **მუხლი 12. პროექტის შესრულების მონიტორინგი**

1. ფონდი ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, გრანტის მიმღების მიერ შესაბამისი შუალედური ანგარიშების წარდგენის საფუძველზე, ახორციელებს დაფინანსებული პროექტების მონიტორინგს, რომელიც მოიცავს პროექტის განხორციელების ფინანსურ და პროგრამულ მონიტორინგს.

ა) ფინანსური მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობის დადგენას ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან.

ბ) პროგრამული მონიტორინგი გულისხმობს საგრანტო ხელშეკრულებით დაგეგმილი შედეგების შესრულების დამადასტურებელი ანგარიშის შემოწმებას. ფონდი უფლებამოსილია, პროგრამული მონიტორინგის ფარგლებში განახორციელოს ადგილზე ვიზიტები და ასევე სამეცნიერო ეფექტიანობის შეფასება შესაბამისი დარგის ექსპერტ(ებ)ის მონაწილეობით ფონდის გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და/ან საგრანტო ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად.

2. მონიტორინგის მიზნებისათვის, გრანტის მიმღების მიერ წარსადგენი დოკუმენტაცია და ანგარიშის განხილვის წესი განისაზღვრება საგრანტო ხელშეკრულებით.

3. გრანტის მიმღები ვალდებულია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ფონდის გენერალური დირექტორის მიერ დამტკიცებული ფორმების შესაბამისად ფონდს წარუდგინოს პროექტის ფარგლებში განხორციელებული პროგრამული აქტივობებისა და გაწეული ხარჯების დოკუმენტირებული ანგარიში.

4. ფონდი განიხილავს გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილ შუალედურ და საბოლოო ანგარიშებს და ადგენს შესაბამის განხილვის აქტს.

5. ფონდის მიერ მონიტორინგის განხორციელებისას:

ა) მიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის ძირითადი ხარჯვითი კატეგორიის ფარგლებში განხორციელებული ხარჯი, თუ იგი მიეკუთვნება ამ ხარჯვით კატეგორიას;

ბ) არამიზნობრივ ხარჯად ჩაითვლება საგრანტო ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გაუთვალისწინებელი ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ექვემდებარება მიზნობრივ ანგარიშზე დაბრუნებას;

გ) აუთვისებელ თანხად ჩაითვლება საანგარიშო პერიოდში გაუხარჯავი რესურსი, რომელიც შესაძლოა გაიხარჯოს პროექტის დასრულებამდე; პროექტის დასრულებისას არსებული აუთვისებელი თანხა ექვემდებარება სახელმწიფო ხაზინის შესაბამის ანგარიშზე დაბრუნებას.

6. ფონდი არ არის ვალდებული განახორციელოს საგრანტო პროექტის იმ ამოცანებზე მონიტორინგი, რომელთა შესრულების დამადასტურებელი შედეგები არ არის გათვალისწინებული საგრანტო ხელშეკრულებით.

7. საგრანტო ხელშეკრულებაში ცვლილება (თანხის მომატების გარეშე) შესაძლებელია დასაბუთებული მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველზე.

8. გრანტის მიმღების მიერ წარმოდგენილი შუალედური და საბოლოო ანგარიშების შემოწმების საფუძველზე მომზადებული განხილვის აქტები ფონდის მიერ შესაძლოა გამოყენებულ იქნეს გრანტის მიმღების მიერ შემდგომში საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისას წარდგენილი პროექტების შეფასებისას.

9. ფონდი უფლებამოსილია, აწარმოოს საგრანტო ხელშეკრულების პირობების დამრღვევ პირთა რეესტრი - ე.წ. „შავი სია“, რომლის წარმოების წესი განისაზღვრება გენერალური დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით.

10. ფონდი უფლებამოსილია განახორციელოს მიმდინარე პროექტების აუდიტორული შემოწმება აუდიტორული კომპანიის მიერ, რათა დადგინდეს საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში ფონდის მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვის შესაბამისობა ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარჯთაღრიცხვასთან. აუდიტორული კომპანიის შემოწმების დასკვნის შესაბამისად ფონდი უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილება პროექტის შეჩერების, შეწყვეტის და დასრულების შესახებ. ფონდი უფლებამოსილია აუდიტორული კომპანიის შემოწმების უარყოფითი დასკვნის ფაქტი გაითვალისწინოს საგრანტო ხელშეკრულების დამრღვევ პირთა რეესტრის - ე.წ. „შავი სიის“ წარმოებისას.

11. ფონდი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, საანგარიშო პერიოდის დასრულებამდე მოითხოვოს პროექტის განხორციელების შინაარსობრივი ნაწილის შესახებ ანგარიშ(ებ)ი. ფონდსა და სააგენტოს წარმომადგენლებს აქვთ უფლება განახორციელონ მოწვეული ექსპერტების ჩართვით პროექტების მიმდინარეობის პროცესში ადგილზე ვიზიტები.

12. ფონდი უფლებამოსილია, მიმდინარე და დასრულებული პროექტების სამეცნიერო ღირებულება და ეფექტიანობა შეაფასებინოს შესაბამისი დარგის ექსპერტებს.

13. დარგის ექსპერტების მიერ პროექტების სამეცნიერო ღირებულებისა და ეფექტიანობის შეაფასების საფუძველზე ფონდი და სააგენტო უფლებამოსილნი არიან, ერთობლივად გამოავლინონ წარმატებული პროექტი და მიიღონ გადაწყვეტილება კვლევის გახანგრძლივების მიზნით, კონკურსის გარეშე, პროექტს მისცეს დამატებითი გრანტი. დამატებითი გრანტი პროექტის გახანგრძლივებისათვის გამოყოფილი იქნება სააგენტოს მიერ და გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ გრანტის მიმღები წარმოადგენს განახლებულ პროექტს და მიიღებს დადებით შეფასებას დამოუკიდებელი ექსპერტებისაგან.

14. ფონდი არ არის უფლებამოსილი, თავად შეაფასოს დასრულებული პროექტის სამეცნიერო ღირებულება და არ არის პასუხისმგებელი პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევების შედეგებზე.

### **მუხლი 13. პროექტის შეჩერება, შეწყვეტა და დასრულება**

1. პროექტი ჩაითვლება ავტომატურად შეჩერებულად ფონდის წესდებისა და საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. ფონდი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეწყვეტს გრანტის მიმღების გრანტით დაფინანსებას (შესაბამისად შეწყდება პროექტი), თუ:

- ა) მოხდა შესაბამისი წამყვანი ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში გაუქმდა მისი ავტორიზაცია;
- ბ) გრანტის მიმღებმა არ შეასრულა საგრანტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ან/და ანგარიშში წარადგინა ყალბი ინფორმაცია.

3. გრანტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, გრანტის მიმღებსა და ფონდს შორის ურთიერთობები დარეგულირდება საგრანტო ხელშეკრულებაში გაწერილი პირობების შესაბამისად.
4. პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ პროექტის ფარგლებში, ავანსად გადარიცხულ ყველა ტრანშზე პროექტის დახურვის მომენტში ფონდში წარდგენილია შუალედური და საბოლოო ანგარიშები, წარდგენილ ანგარიშებზე ფონდის მიერ დაწერილია შესაბამისი განხილვის აქტები, მიღებულია დადებითი დასკვნა, მხარეთა შორის გაფორმებულია შედარების აქტი.

#### **მუხლი 14. დამატებითი მოთხოვნები გრანტის მიმღებთა მიმართ**

1. სასურველია, პროექტით გათვალისწინებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით გრანტის მიმღებმა გამოაქვეყნოს მინიმუმ ერთი სამეცნიერო სტატია რეფერირებად და ციტირებად გამოცემებში, ან წარმოადგინოს ცნობა სტატიის გამოსაქვეყნებლად მიღების შესახებ. საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად გამოცემად ფონდის მიერ განიხილება ის ჟურნალები, წიგნები და კრებულები, რომლებიც ხილვადია შემდეგ სამეცნიერო ბაზებში: [Scimago Journal Ranking](#), [Scopus](#), [Web of Science](#), [ERIH plus](#). ან გამოქვეყნებულია სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გამოცემულ საერთაშორისო რეფერირებად და ციტირებად ჟურნალები: Transactions of A. Razmadze Mathematical Institute (ა. რაზმადის მათემატიკური ინსტიტუტის ნაშრომები) და Annals of Agrarian Science (აგრარულ მეცნიერებათა მემატიანე).
2. პროექტის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ამსახველი მონოგრაფია დამტკიცებული უნდა იყოს წამყვანი ორგანიზაციის დარგობრივი სარედაქციო/საგამომცემლო/სამეცნიერო/აკადემიური საბჭოს, ან მასთან გათანაბრებული სტრუქტურის მიერ.
3. საგრანტო პროექტის ფარგლებში განხორციელებული კვლევის შედეგების ამსახველ პუბლიკაციებში (სტატია, მონოგრაფია, საკონფერენციო აბსტრაქტი და ა.შ.) სავალდებულოა მითითებული იყოს, რომ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით [გრანტის ნომერი ...]“ / „This work was supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) and the National Food Agency of Georgia [grant number ...]“. იმ შემთხვევაში, თუ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში არ იქნება ასახული ზემოაღნიშნული ინფორმაცია, წარმოდგენილი დოკუმენტი არ განიხილება ფონდის მიერ პროგრამული მონიტორინგის განხორციელებისას. ერთ სტატიაზე შესაძლებელია, მითითებული იყოს ფონდის მიერ გაცემული მხოლოდ ერთი გრანტის ნომერი.
4. საგრანტო პროექტის ფარგლებში შექმნილ ვიზუალურ პროდუქციაზე (ნაბეჭდ, ფოტო, აუდიო, ვიდეო, ელექტრონულ პროდუქციაზე და ვებგვერდზე) სავალდებულოა, განთავსდეს შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს ლოგო და მითითებული იყოს, რომ საგრანტო პროექტი განხორციელდა “შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის“ და „სურსათის ეროვნული სააგენტოს“ მხარდაჭერით.
5. ფონდი უფლებამოსილია, გრანტის მიმღებთა მიერ წარდგენილი პროექტის აბსტრაქტი, პროგრამული ანგარიშები და ბეჭდვითი ან/და ვიზუალური მასალები გამოიყენოს საკუთარი საქმიანობის ანგარიშში, ბეჭდვით და ელექტრონულ გამოცემებში, განათავსოს ფონდის ვებგვერდებზე.